საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.01.2018

საჩივრის რეგისტრაციის #001/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ, /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 08 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 26 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ზეპირი სახით წარმოადგინა ახსნა-განმარტება. 2018 წლის 26 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ვ. ს.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სალიზინგო კომპანიის მეშვეობით, მ. ა.-სგან შეიძინა ავტობუსი, თუმცა მ. ა.-მ სალიზინგო კომპანიის თანხმობით თურქეთში გაყიდა აღნიშნული ნივთი, მაშინ როდესაც საჩივრის ავტორი შვიდი თვის განმავლობაში იხდიდა ყოველთვიურ გადასახადს, რის შემდეგაც საჩივრის ავტორს დასჭირდა ადვოკატის დახმარება. ვ. ს.-მ მოცემულ საქმეზე, იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ შ. ვ.-ს. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, საჩივრის ავტორს ადვოკატისთვის უნდა გადაეხადა 1250 ლარი. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არ გაფორმებულა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ვ. ს.-მ ადვოკატის სახელზე გააფორმა მინდობილობა, იმ მიზნით, რომ მის მაგივრად ემოქმედა და ეწარმოებინა საქმე, თუმცა საჩივრის ავტორს თავად უწევდა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენა შესაბამის ორგანოებში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას „თაღლითური გზით“ გამოსძალა 4220 ლარი, შემდგომ მოითხოვა 3000 დოლარი, თურქეთში საქმის თაობაზე წასვლისთვის, თუმცა საჩივრის ავტორმა უთხრა, მას რომ ერევანში შეთანხმების მიუხედავად არ წასულა, არც ადგილობრივად არაფერი გაუკეთებია საქმესთან დაკავშირებით და თურქეთში როგორ აწარმოებდა მის საქმეს. ადვოკატმა შ. ვ.-მ საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ ის ბოდიშს უხდის მას, რადგან მის მიერ გადაცემული თანხა, რომელიც ერევანში საქმის საწარმოებლად იყო საჭირო თავისი პირადი საქმისთვის გამოიყენა, რის შემდეგაც, ადვოკატმა შ. ვ.-მ ვ. ს.-ს ეტაპობრივად დაუბრუნა მიღებული თანხა 2200 ლარი, თუმცა დასაბრუნებელი დარჩა 2000 ლარი. საჩივრის ავტორმა შეწყვიტა ადვოკატ შ. ვ.-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რადგან არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და იმალებოდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან იცოდა, რომ ადვოკატ შ. ვ.-ს, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით უნდა ეწარმოებინა მისი საქმე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არ უთქვამს მისთვის, რომ ის ვერ აწარმოებდა მის საქმეს სამოქალაქო სამართლის განხრით, რადგან არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადასტურებს რომ ადვოკატმა შ. ვ.-მ მას გადახდილი ჰონორარის ნაწილი - 400 ლარი ჩაურიცხა ანგარიშზე ეთიკის კომისიაში საქმისწარმოების ეტაპზე.

1.6 საჩივრის ავტორის მიერ 2018 წლის 24 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით, ის და ადვოკატი შ. ვ. მორიგდნენ, კერძოდ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა შეთანხმებისამებრ მიღებული თანხა - 1400 ლარი, რის გამოც საჩივრის ავტორს აღარ აქვს ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ პრეტენზიები და უარს ამბობს საჩივარზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა შ. ვ.-მ 2018 წლის 26 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 26 ნოემბერს ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატმა შ. ვ.-მ 2015 წლის აგვისტოს თვეში საერთო ნაცნობის მეშვეობით გაიცნო ვ. ს., რომელმაც შეხვედრის დროს უამბო, თუ როგორ შეიძინა ავტობუსი და როგორ მოხდა მისი დაკარგვა საბაჟო გამშვებ პუნქტზე. ვ. ს.-მ შეაგროვა თავის საქმესთან დაკავშირებული

დოკუმენტები და კვლავ შეხვდა ადვოკატ შ. ვ.-ს ქალაქ ქუთაისში, რადგანაც საჩივრის ავტორი ვერ ახერხებდა თბილისში ჩასვლას.

2.3 ადვოკატის განცხადებით, შეთანხმების შესაბამისად, ვ. ს.-მ მის სახელზე გააფორმა მინდობილობა, გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და განისაზღვრა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობა - 1000 ლარი. ადვოკატს საჩივრის ავტორი ეტაპობრივად ურიცხავდა ჰონორარს. ადვოკატის განმარტებით, ვ. ს.-მ საადვოკატო მომსახურებისათვის და ბაჟის გადახდისათვის გადასცა 4000 ლარი.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, წერილობითი განცხადებით მიმართა მთავარ პროკურატურას, რომელმაც თავის მხრივ, საქმე გადასცა ვაკე-საბურთალოს განყოფილებას, სადაც გამომძიებელმა დაიბარა ადვოკატი და საჩივრის ავტორი დაკითხვაზე, ადვოკატმა დაურთო მის მიერ ამოწერილი ორდერი საქმის მასალებს. ადვოკატის განცხადებით, ის დაკითხვის პროცესს სამი საათის განმავლობაში ესწრებოდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ვ. ს.-მ უთხრა, რომ რუსთავის სამმართველომ აღძრა საქმე მისი დაყაჩაღების საქმეზე მ. ა.-ს მიმართ, ვისგანაც მან შეიძინა ავტობუსი. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატი შ. ვ. ჩავიდა რუსთავში გამომძიებლის სანახავად, თუმცა ადგილზე არ დახვდა. ადვოკატი ვ. ს.-სთან ერთად განმეორებით მივიდა რუსთავის სამმართველოში, სადაც გამომძიებელმა გააცნო საქმის მასალები, მათ შორის ვ. ს.-ს მიერ დაწერილი განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მასსა და მ. ა.-ს შორის მოხდა გაუგებრობა, მათ შორის სადავო არაფერი იყო და უარს ამბობდა საჩივარზე. ადვოკატის განმარტებით, ვ. ს.-მ დაადასტურა, რომ მოცემული განცხადება ნამდვილად მისი შედგენილი იყო.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან ურჩია ვ. ს.-ს, მის საქმესთან დაკავშირებით მიემართა სასამართლოსთვის სამოქალაქო სარჩელით, რის თაობაზეც ვ. ს.-მ განაცხადა, რომ ის მიაწოდებდა ბაჟის გადახდისათვის საჭირო თანხას ეტაპობრივად, რის შემდეგაც მიმართავდნენ სარჩელით სასამართლოს.

2.7 ვ. ს.-მ საქმესთან დაკავშირებით გადასახდელი ბაჟის თანხა ადვოკატ შ. ვ.-ს ნაწილობრივ ჩაურიცხა ანგარიშზე, თუმცა საგამოძიებო ორგანოში მისვლის დროს, აღნიშნა, რომ დროებით სამოქალაქო საქმეზე სარჩელი არ შეეტანათ და გამოძიების პროცესის დასრულებას დალოდებოდნენ. ადვოკატი საჩივრის ავტორს არაერთხელ ახლდა პოლიციის სამმართველოში.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მოსკოვის პროსპექტზე მდებარე პოლიციის სამმართველოს განყოფილებამ ვ. ს.-ს მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე უარი თქვა საქმის აღძვრაზე და წერილობით მიუთითა, რომ სამოქალაქო სარჩელით მიემართათ სასამართლოსთვის. ადვოკატმა შ. ვ.-მ მოცემული წერილობითი უარი მთავარ პროკურატურაში გაასაჩივრა და მოითხოვა საქმის ხელმეორედ შესწავლა. ადვოკატმა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, წერილობითი განცხადებით მიმართა პროკურორს, აგრეთვე, მარნეულში გაგზავნა ახლობლები, იმისათვის რომ მ. ა.-ს ადგილსამყოფელი მიეკვლიათ.

2.9 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, არაერთხელ მივიდა სალიზინგო კომპანიაში, მათ შორის, მ, ა,-სთან ერთად, რომელთანაც მიმდინარეობდა

მოლაპარაკება ვ. ს.-სთვის თანხის დაბრუნების საკითხზე. ადვოკატი ვ. ს.-ს საქმესთან დაკავშირებით ორჯერ შეხვდა თურქეთის მოქალაქეს ი. ა.-ს, აგრეთვე ადვოკატმა გამოკითხა არაერთი მოწმე, რომლებიც ი. ა.-მ მოატყუა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა მას უთხრა, რომ ბინის ქირას ვერ იხდიდა, შესაბამისად, თავს იკავებდა იმ ეტაპისთვის მიემართა სასამართლოსთვის სამოქალაქო სარჩელით, ამიტომ ადვოკატისგან ითხოვა სახელმწიფო ბაჟისათვის გადასახდელი თანხის უკან დაბრუნება. ადვოკატმა მოთხოვნიდან რამდენიმე დღეში გადასცა ვ. ს.-ს ეტაპობრივად 2200 ლარი. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორთან კვლავ გაგრძელდა ურთიერთობა და ელოდებოდნენ პროკურატურის პასუხს საქმესთან დაკავშირებით.

2.11 ადვოკატის განცხადებით, 2017 წლის შემოდგომაზე მას შეხვდა ვ. ს. და მოითხოვა საქმესთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტის დაბრუნება, ასევე განაცხადა, რომ ის წყვეტდა მასთან ურთიერთობას და საქმის წარმოებას გააგრძელებდა სხვა ადვოკატი, შესაბამისად, ითხოვა 1000 ლარის დაბრუნება. მოცემულ შეხვედრას ესწრებოდა თენგიზ პირველაშვილი.

2.12 ადვოკატის განმარტებით, 1000 ლარი მას ეკუთვნოდა საადვოკატო მომსახურებისთვის, 500 ლარი ორი წლის განმავლობაში საქმესთან დაკავშირებით სამგზავრო ხარჯისთვის. მიუხედავად ამისა, მან საჩივრის ავტორს უთხრა, რომ ეტაპობრივად დაუბრუნებდა დარჩენილ თანხას.

2.13 2018 წლის 26 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატ შ. ვ.-ის მიერ წარმოდგენილი განმარტებით, დისციპლინური საქმის საპროცესო ეტაპზე განხილვისას, მან ვ. ს.-ს ანგარიშზე გადარიცხა 400 ლარი და კომისიას წარუდგინა გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.

2.14 ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ვ. ს.-ს საქმის მასალები, მათ შორის პროკურატურისადმი მიმართული წერილობითი განცხადებები. ადვოკატის განცხადებით, ის თანხმობას აცხადებს მოურიგდეს საჩივრის ავტორს და მის ანგარიშზე დამატებით ჩარიცხოს 1400 ლარი.

2.15 2018 წლის 20 დეკემბერს ეთიკის კომისიის აპარატთან სატელეფონო საუბრირსას, ადვოკატმა შ. ვ.-მ აღნიშნა, რომ მან ვ. ს.-ს ანგარიშზე სრულად გადარიცხა 1400 ლარი, რის დასადასტურებლადაც კომისიას წარუდგინა გადარიცხვის ქვითარი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2018 წლის 07 მაისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ადვოკატმა არ გაუწია საჩივრის ავტორს შეთანხმების შესაბამისად კვალიფიციური და კეთლსინდისიერი მომსახურება და არ მიაწოდა როგორც კლიენტს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი და ვერ შეძლებდა მისი წარმომადგენლობის განხორციელებას, როგორც ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე.

3.3. საპროცესო კოლეგიამ ივარაუდა, რომ შ. ვ.-მ საჩივრის ავტორთან შეთანხმების მიუხედავად, არ დააბრუნა მისგან მიღებული თანხა სრულად საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ.

3.4. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შ. ვ.-ის ქმედებაში აღმოაჩინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის *(აპეკ)* მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილების შესაძლო დარღვევა. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, 2018 წლის 24 დეკემბერს, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა განცხადება იმის თაობაზე, რომ არ აქვს პრეტენზია ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ, რადგან ისინი მორიგდნენ და ადვოკატმა სრულად დაუბრუნა 1400 ლარი, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 22.1.„ბ“ მუხლით და დაადგინა:

1. დისციპლინურ საქმეზე №001/18 ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/